თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5314971

ნომერი: AR1807714

თარიღი : 02.03.2021

გაცემის თარიღი : 09.03.2021

გაცნობის თარიღი : 12.03.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბოჭორმის , N 11;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ნიჟარაძე პ/ნ 01008020676
- თბილისი ნ.ყიფშიძის ქ. N 16 კორ. 1 ბ. 10

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 14 დეკემბრის №5221781 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 02 მარტს №AR1807714 განცხადებით მომართა გიორგი ნიჟარაძემ და მოითხოვა სამსახურის 2020 წლის 14 დეკემბრის

№5221781 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება საპროექტო ობიექტის ფუნქცია/დანიშნულებასთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 14 დეკემბრის №5221781 ბრძანებით ქალაქ თბილისში, ბოჭორმის ქუჩა №11-ში, №01.17.01.135.008 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის მშენებლობის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2020 წლის 14 დეკემბრის №5221781 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ უთითებს, რომ აღნიშნულ ბრძანებაში საპროექტო ობიექტის ფუნქცია/დანიშნულებაში საცხოვრებელი (70%) და საოფისე (30%) ნაცვლად მითითებული უნდა იყოს საცხოვრებელი (70%) და სასტუმრო (30%).
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 24 სექტემბრის №ბ01.01202685 ბრძანებით ქალაქ თბილისში, ბოჭორმის ქუჩა №11-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.01.135.008) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, როგორც მრავალფუნქციური კომპლექსის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 70%-ის განთავსების მიზნით გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება. ხოლო, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე 2020 წლის 24 სექტემბრის №დ16.01202682 დასკვნაში საპროექტო ობიექტის ფუნქცია/დანიშნულებაში მიეთითა სასტუმრო და საცხოვრებელი.
2020 წლის 28 სექტემბრის №AR1776464 განცხადებით მოთხოვნილ იქნა №01.17.01.135.008 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის მშენებლობის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება. ამავე განცხადებაზე განმცხადებელი განმარტავდა, რომ სურდა საცხოვრებელი (70%) და სასტუმრო (30%) ფუნქცია/დანიშნულების მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის მშენებლობა. სამსახურმა განიხილა აღნიშნული საკითხი და დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა, თუმცა სამსახურის 2020 წლის 14 დეკემბრის №5221781 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის შედეგად საპროექტო ობიექტის ფუნქცია/დანიშნულება არასწორად დაფიქსირდა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 14 დეკემბრის №5221781 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 14 დეკემბრის №5221781 ბრძანებაში და ფუნქცია/დანიშნულებად მიეთითოს: საცხოვრებელი (70%); სასტუმრო (30%).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 14 დეკემბრის №5221781 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 14 დეკემბრის №5221781 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.